



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 21 სექტემბერი

**დისციპლინური საქმე №145/19-5  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა --- 2019 წლის 15 აგვისტოს №-- საჩივარი.

2019 წლის 16 სექტემბერს მომზადდა დამოუკიდებელი ინსპექტორის №145/19 დასკვნა.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის --- გადაწყვეტილების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, --- გათავისუფლდა --- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან 2010 წლის ---, პირადი განცხადების საფუძველზე.

გამომდინარე იქიდან, რომ --- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. --- მიმართ არ არსებობს, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი, შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №-- ყოფილი მოსამართლის --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი  
დამოუკიდებელი ინსპექტორი**